



სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული
დახმარების სამსახურის
სამომხმარებლო კვლევა

ანგარიში

თბილისი
მაისი, 2011

სარჩევი:

კვლევის მიზანი.....	4
საკვლევი საკითხები.....	4
ტექნიკური ინფორმაცია.....	5
ანგარიშის ძირითადი ნაწილი.....	7
1. სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ალბათობა სხვადასხვა სახის ინსტიტუციონალური მოწყობის სახელმწიფოში.....	7
2. ინსტიტუტი, რომლის წამყვანი როლი განაპირობებს მართლმსაჯულების სისტემისადმი მაქსიმალურ ნდობას.	8
2.1 ინსტიტუტების გამოკვეთა რომელთა როლი განაპირობებს მართლმსაჯულების სისტემისადმი მაქსიმალურ ნდობას მოქალაქეებში	8
2.2საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მისაღწევად რომელი ინსტიტუტები საჭიროებს გაძლიერებას.	9
3. საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აღწერა.	11
3.1 გამოკვეთა საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის.	11
4. დასახლებულ პუნქტებში არსებული სამართლებრივი პრობლემები.....	13
4.1დასახლებულ პუნქტებში არსებული სამართლებრივი პრობლემების რანჟირება და სიხშირე.	13
5. ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე უკეთ შეძლებს არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას.....	15
5.1 ინსტიტუტები რომლებიც მიიჩნევა არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისთვის საუკეთესო გზად.	15
6. დასახლებულ პუნქტებში ხშირად მომხდარი დანაშაულებების სახეები.....	17
6.1დანაშაულის სახეები და მათი სიხშირე.	17
7. მიღებული იურიდიული მომსახურების წარმომავლობა.....	17
7.1 ..დასახლებულ პუნქტებში არსებული იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები.	17
7.2. მოქალაქეების მიმართვიანობა სისხლის სამართლის დანაშაულის ან სამოქალაქო დავების დროს კონკრეტული ორგანიზაციებისადმი.	19
7.3 იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისადმი ნდობის ხარისხი.	20
7.4 მოქალაქეების ინფორმირებულობა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების უფასო იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით.	21
7.5რეკომენდატორი მოქალაქის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს.	24
7.6 ...ფინანსური ფაქტორის როლი იურიდიული მომსახურების მიღების საჭიროების დროს.	24
7.7ნდობის ხარისხი სხვა და სხვა იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიმართ	25



8. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის ხარისხი	25
8.1 ინფორმირებულობა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ.	25
8.2 .. დანაშაულის დროს ფინანსური შესაძლებლობების როლი საბოლოო შედეგზე	26
8.3 მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიღების წყარო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ	26
8.4 . სამართალწარმოების შედეგები იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების შემდეგ	29
8.5 სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციებში შემავალი მომსახურებები.	31
8.6 უფასო მომსახურებები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ან სხვა სახელმწიფო უწყებებიდან	32
8.7 სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომავლობის გავლენა რიგით მოქალაქეებზე.	32
8.8 სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის გავლენა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე.	33
9. ძირითადი მიგნებები.....	34
10. რეკომენდაციები.....	37

კვლევის მიზანი

- ✓ მოსახლეობაში სამართლებრივი საქმეთაწარმოების ინსტიტუციების შესახებ ზოგადი გათვითცნობიერების ხარისხი.
- ✓ მოსახლეობაში სამართლებრივი საქმეთაწარმოების შესახებ ზოგადი გათვითცნობიერების ხარისხი.
- ✓ დასახლებულ პუნქტებში დღემდე არსებული სამართლებრივი საქმეთაწარმოების ტიპები.
- ✓ მიღებული იურიდიული მომსახურების წარმომავლობა.
- ✓ იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისადმი ნდობის ხარისხი.
- ✓ დასახლებულ პუნქტებში უფასო იურიდიული დახმარების სამსახურისთვის აუცილებელი პოტენციალი.

საკვლევი საკითხები

- ✓ სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ალბათობა სხვადასხვა სახის ინსტიტუციონალური მოწყობის სახელმწიფოში.
- ✓ ინსტიტუტი, რომლის წამყვანი როლი განაპირობებს მართლმსაჯულების სისტემისადმი მაქსიმალურ ნდობას.
- ✓ საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აღწერა.
- ✓ დასახლებულ პუნქტებში არსებული სამართლებრივი პრობლემები.
- ✓ ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე უკეთ შეძლებს არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას.
- ✓ დასახლებულ პუნქტებში ხშირად მომხდარი დანაშაულებების სახეები.
- ✓ დასახლებულ პუნქტებში არსებული იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები.
- ✓ ორგანიზაციები, რომლებსაც მიმართავენ მოქალაქეები დასახლებულ პუნქტებში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულის ან სამოქალაქო დავების შემთხვევაში.
- ✓ იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისადმი ნდობის ხარისხი.
- ✓ რეკომენდატორი მოქალაქის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს.
- ✓ ფინანსური ფაქტორის როლი იურიდიული მომსახურების მიღების საჭიროების დროს.
- ✓ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის ხარისხი.
- ✓ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ინფორმაციის მიღების გზები.

- ✓ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური ფუნქციებში შემავალი მომსახურებები.
- ✓ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური წარმომავლობის გავლენა რიგით მოქალაქეებზე.
- ✓ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის გავლენა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე.

ტექნიკური ინფორმაცია

კვლევის მიზნების მისაღწევად განხორციელებული იქნა შემდეგი:

რაოდენობრივი კვლევა, შერჩევის ზომა 750 ინტერვიუ.

მათ შორის 345 რესპონდენტი, რომელთა ოჯახებში ცხოვრობენ 18 წლამდე ასაკის მოზარდები.

ბათუმი–

- 50 რესპონდენტი, რომლებმაც მიიღეს სასჯელადსრულების, პრობაციისა და უფასო იურიდიული დახმარების სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, დასრულებული პროცესები.
- 100 რესპონდენტი, რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მიუღია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი ჯგუფების პროპორციული ჭრილით.

გორი–

- 50 რესპონდენტი, რომლებმაც მიიღეს სასჯელადსრულების, პრობაციისა და უფასო იურიდიული დახმარების სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, დასრულებული პროცესები.
- 100 რესპონდენტი, რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მიუღია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი ჯგუფების პროპორციული ჭრილით.

ახალქალაქი–

- 50 რესპონდენტი, რომლებმაც მიიღეს სასჯელადსრულების, პრობაციისა და უფასო იურიდიული დახმარების სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, დასრულებული პროცესები.
- 100 რესპონდენტი, რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მიუღია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი ჯგუფების პროპორციული ჭრილით.



ქობულეთი–

- 100 რესპონდენტი, რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მიუღია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი ჯგუფების პროპორციული ჭრილით.

ხაშური–

- 100 რესპონდენტი, რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მიუღია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი ჯგუფების პროპორციული ჭრილით.

მარნეული–

- 100 რესპონდენტი, რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მიუღია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი ჯგუფების პროპორციული ჭრილით.


ანგარიშის ძირითადი ნაწილი

1. სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ალბათობა სხვადასხვა სახის ინსტიტუციონალური მოწყობის სახელმწიფოში

კვლევის მიმდინარეობისას დასმული იყო შემდეგი კითხვა:

- რა შემთხვევაში მიიღწევა სამართლიანი მართლმსაჯულება სისხლის სამართლის დარღვევისას?

რესპოდენტებს წარედგინებოდათ რამოდენიმე სავარაუდო პასუხი. ირჩევდნენ ერთერთ სახეს, რომელსაც მიიჩნევდნენ სახელმწიფოში ინსტიტუციონალური მოწყობის საუკეთესო ფორმად. მიღებული პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით:



- ✓ გამოკითხული რესპოდენტების 65.6% თვლის, რომ სამართლიანი მართლმსაჯულება სისხლის სამართლის დარღვევისას მიიღწევა სახელმწიფოში, რომელშიც სასამართლო ძლიერი და დამოუკიდებელია ნებისმიერი გავლენისაგან.
- ✓ გამოკითხულთა 10.5% თვლის, რომ სამართლიანობა მიიღწევა სახელმწიფოში, რომელშიც პროკურატურის გავლენა სასამართლოს ფუნქციონირებაზე ძლიერია.
- ✓ 6.8%-ის აზრით, სამართლიანობა მიიღწევა სახელმწიფოში, რომელშიც ძირითადად ადვოკატურის როლი წყვეტს კონკრეტული საქმის ბედს.
- ✓ 4.0% კი ფიქრობს, რომ სამართლიანობა მიიღწევა სახელმწიფოში, სადაც ადვოკატურის ფუნქცია მეორეხარისხოვანია პროკურატურის ფუნქციასთან შედარებით.

შედეგის მიხედვით 65.6%–ი თვლის, რომ სასამართლო უნდა იყოს ძლიერი, რაც დამოუკიდებელი სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებისთვის იდეალური

გამოსავალია. თუმცა დასაფიქრებელია დანარჩენი რესპოდენტების პოზიცია, რომელიც 35% შეადგენს: გამოკითხულთა მესამედზე მეტი არც თუ დაბალი მაჩვენებელი. სავარაუდოდ, ამ ადამიანებს არა აქვთ სწორი სამოქალაქო განათლება, ან თავიანთ პირად გამოცდილებას ეყრდნობიან, რომელიც თავისთავად არასწორი მიმართულებით განვითარდა.


2. ინსტიტუტი, რომლის წამყვანი როლი განაპირობებს მართლმსაჯულების სისტემისადმი მაქსიმალურ ნდობას.

2.1 ინსტიტუტების გამოკვეთა რომელთა როლი განაპირობებს მართლმსაჯულების სისტემისადმი მაქსიმალურ ნდობას მოქალაქეებში

რესპოდენტებს ესმებოდათ შეკითხვა:

- *თქვენი აზრით რომელი ინსტიტუტის როლი უნდა იყოს წამყვანი მართლმსაჯულების სისტემისადმი მაქსიმალური სანდოობისათვის?*

სავარაუდო პასუხებიდან ასახელებდნენ მხოლოდ ერთს. შედეგები შემდეგნაირია:



- ✓ რესპოდენტების **40.3%** ნდობას უცხადებს სასამართლოს,
- ✓ ხოლო 22.5% თვლის, რომ წამყვანი როლი პროკურატურას უნდა ქონდეს მართლმსაჯულების სისტემის სანდოობისთვის.
- ✓ 14.1%-ის აზრით, პოლიციის როგორც ინსტიტუტის როლი უნდა იყოს წამყვანი.
- ✓ ხოლო 11.5% კი ადვოკატურის როლის წამყვანობაში ხედავს მართლმსაჯულებას სანდოდ.

თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ რიგითი მოქალაქეები და მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს იურიდიული მომსახურება, განსხვავებულად ფიქრობენ:

ბათუმი:

- რიგითი მოქალაქეების 39.0% თვლის, რომ სასამართლო უნდა იყოს წამყვანი ინსტიტუტი სამართლიანი მართლმსაჯულების აღსასრულებლად,
- ხოლო 26.0% კი პროკურატურას ასახელებს.

რაც შეეხება მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს უკვე იურიდიული მომსახურება და შესაბამისად მეტი გამოცდილება აქვთ-

- მათი 74.0% პროკურატურაში ხედავს სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებას,
- მხოლოდ 18 % კი სასამართლოში.

ერთიანი მონაცემის მიხედვით 40.3% უცხადებს ნდობას სასამართლოს, ხოლო დანარჩენი ძირითადი მაჩვენებელი მოდის პროკურატურაზე და პოლიციაზე. უმნიშვნელო მაჩვენებელი ფიქსირდება ადვოკატურის შემთხვევაში.

განსაკუთრებულად თვალშისაცემია ბათუმის მონაცემი: იმ მოქალაქეებში, ვინც უკვე მიიღო იურიდიული დახმარება, პროკურატურაში ხედავს სამართლიან მართლმსაჯულების აღსრულებას და სასამართლოსადმი ნდობა საკმაოდ დაბალია. ეს მონაცემი ამყარებს იმ ვარაუდს, რომ რესპონდენტები თავიანთი გამოცდილებიდან უცხადებენ ნდობას ამა თუ იმ ინსტიტუტს. როგორც მონაცემებიდან ჩანს, რესპონდენტების პირადი გამოცდილება მდიდარია სამართალწარმოების არასარუველი ფორმის შემთხვევებით. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგადად საქართველოში და განსაკუთრებულად ბათუმში პროკურატურას საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს და შესაძლოა რიგ შემთხვევებში სასამართლოს ფუნქციასაც ითავსებს. ან, სამართლებრივი საქმის წარმოების შემთხვევაში პროკურატურა ასრულებს მნიშვნელოვნად აქტიურ როლს.

2.2 საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მისაღწევად რომელი ინსტიტუტები საჭიროებს გაძლიერებას.

კითხვაზე-


- *თქვენი აზრით, რომელი ინსტიტუტია საჭიროებს ყველაზე მეტად გაძლიერებას სამართლებრივი სისტემის მდგრადობის და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად?*

პასუხებიდან ჩანს, რომ:

- ✓ გამოკითხულთა 56.4% თვლის, რომ ეს უნდა იყოს სასამართლოს ინსტიტუტია.
- ✓ 36.4% კი სამართლებრივი სისტემის მდგრადობის და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ადვოკატურის გაძლიერებაში ხედავს
- ✓ ხოლო 24.9% კი პროკურატურის ინსტიტუტის გაძლიერება ჩათვალა საჭიროდ.
- ✓ მოქალაქეების 12.7%-მა პოლიცია დაასახელა.

თუმცა საინტერესოა შედეგები კითხვაზე:

- *თქვენი აზრით, რომელი ინსტიტუცია საჭიროებს ყველაზე მეტად შესუსტებას სამართლებრივი სისტემის მდგრადობის და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად?*



- ✓ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 49.9%-ს, გამოკითხულთა თითქმის ნახევარს.
- ✓ რესპოდენტების 25.7% თვლის, რომ საჭიროა პოლიციის ინსტიტუციის შესუსტება სამართლებრივი სისტემის მდგრადობის და სამართლიანობის უზრუნველსაყოფელად.
- ✓ 17.1% კი პროკურატურის, როგორც ინსტიტუციის შესუსტებაში ხედავს გამოსავალს

მიღებული პასუხები ამყარებს ვარაუდს პროკურატურის და პოლიციის "ზედმეტი სიძლიერის" შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებისთვის გამოკითხული მოქალაქეებიდან ვიღებთ პირდაპირ დაკვეთას ამ ინსტიტუტების შესუსტების შესახებ.

რაც შეეხება პასუხს "მიჭირს პასუხის გაცემა" (რესპოდენტების ნახევარი)-ეს მანიშნებელია იმისა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არ გააჩნია რეალური წარმოდგენა სამართლებრივ სისტემასა და სამართლიანობის უზრუნველყოფ ინსტიტუტებზე.

3. საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აღწერა.

3.1 გამოკვეთა საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის.

რესპოდენტებს წარედგინებოდათ ხუთი სხვადასხვა მოსაზრება, უნდა აერჩიათ ერთერთი, რომელსაც ეთანხმებოდნენ:

ერთიანი მონაცემი	ვეთანხმები	ნაკლებად ვეთანხმები	არც ვეთანხმები არც ვუარყოფ	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არის ის სადაც განსასჯელის ადვოკატი არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას	<u>30.4%</u>	19.7%	9.9%	8.3%	10.0%	<u>21.7%</u>
საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არის ის სადაც პროკურორი არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას	<u>27.6%</u>	16.5%	17.1 %	9.7%	7.5%	<u>21.6%</u>
საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არის ის სადაც მოსამართლე, განსასჯელის ადვოკატი და პროკურორი ერთად არიან მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას	<u>36.0%</u>	17.7%	9.9%	10,8%	6.0%	<u>19.6%</u>
საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არის ის სადაც პოლიციის გამომძიებელი არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას	11.5%	11.0%	17.1%	12.5%	<u>22.9%</u>	<u>24.8%</u>
საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არის ის სადაც მოსამართლე არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას	<u>44.3%</u>	9.5%	8.8%	8.3%	9.7%	<u>19.5%</u>

“ვეთანხმები”-გამოკითხულთა თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი ნაწილდება ყველა ჩამოთვლილი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, გარდა იმ სისტემისა, სადაც პოლიციის გამომძიებელი არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას: აქ შედარებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

რესპონდენტების 30.0%-ს მიაჩნია საუკეთესო მართლმსაჯულების სისტემად ის, სადაც ადვოკატია საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები, ხოლო 27.6%-ს კი სისტემა, სადაც პროკურორია საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები. ეს მონაცემი ლოგიკურია იმ შედეგებთან, რომელიც კვლევის ზემოთ მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით დაფიქსირდა.

თუმცა აქვე უნდა განვიხილოთ მართლმსაჯულების ორი სისტემის შედეგი:


1. როცა მოსამართლე არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას 44.3% მაჩვენებლით და
2. როცა მოსამართლე განსასჯელის ადვოკატი და პროკურორი ერთად არიან გადაწყვეტილების მიმღები 36% მაჩვენებლით.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ვარაუდი რესპონდენტების მიერ პირველსა და მეორე სისტემებს შესაძლო გაიგივების შესახებ, რადგან ორივე სისტემაში მოიაზრება მოსამართლის ინსტიტუტი.

იმ ფონზე, როცა რესპონდენტების პირადი გამოცდილება მდიდარი იყო სამართლებრივ საქმისწარმოებაში პროკურატურის წამყვანი როლით, რესპონდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საუკეთესო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არის ის, სადაც მოსამართლე და ადვოკატი არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები საქმის საბოლოო შედეგის მიღწევისას.

მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტები სამართლებრივი შემეცნება არც თუ დაბალია, მაგრამ მათი პირადი გამოცდილება პროკურატურის აქტიურობასა და სიძლიერეზე მიუთითებს.

საინტერესოა ახალქალაქის ერთიანი მონაცემები:



- გამოკითხულთა უმრავლესობას გაუჭირდა პასუხის გაცემა.

მიღებულ შედეგზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალქალაქის მოსახლეობა თითქმის არაა ჩართული სამართლებრივ ცხოვრებაში. შესაძლებელია ეს განპირობებული იყოს არაინფორმირებულობით, ან უინტერესობით და დაბალი აქტივობით, რასაც ასევე ხელს უწყობს ენობრივი ბარიერი. ეს, როგორც ფაქტი, ფიქსირდებოდა ველის მიმდინარეობის დროს-


- ის რესპოდენტები, რომლებსაც მიღებული ქონდათ იურიდიული დახმარების მომსახურებები, ფაქტიურად ვერ იხსენებდნენ ვინ და რა ორგანიზაცია მოემსახურათ მათ.

თუმცა იმის გარდა რომ მოქალაქეები ნაკლებად არიან ჩართულები სამართლებრივ ცხოვრებაში, ჩნდება ვარაუდი იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან არასათანადო კომუნიკაციის შესახებ.

4. დასახლებულ პუნქტებში არსებული სამართლებრივი პრობლემები.

4.1 დასახლებულ პუნქტებში არსებული სამართლებრივი პრობლემების რანჟირება და სიხშირე.

რესპოდენტებს ესმებოდათ კითხვა; თქვენი აზრით, რა სახის დანაშაული ხდება უფრო ხშირად თქვენს ქალაქში? გამოკითხვის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი პროცენტული მაჩვენებლები:



გამოკითხულთა 30.1%-ს არა აქვს პრობლემები. 23.2%-ი კი თვლის, რომ ხშირად ხდება სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევა. 15.2%-ი თვლის, რომ ხდება სახელმწიფოს მხრიდან შრომის უფლების დარღვევა. რესპოდენტების 12.3%-ი კი ასახელებს პატიმრების უფლებების დარღვევას. 8.0%-მა პოლიტიკური ან სიტყვის თავისუფლება დაასახელა.

თვალშისაცემია პროცენტული მაჩვენებელი რომელიც ეხება სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევას. განსაკუთრებით ბათუმი გამოირჩევა ამ მხრივ მაღალი მაჩვენებლით:

ბათუმი—

სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევა:

- | | |
|--|--------|
| ➤ ერთიანი მონაცემით | -51.3% |
| ➤ მოქალაქეები რომლებმაც მიიღეს იურიდიული მომსახურება | -54.0% |
| ➤ რიგითი მოქალაქეები | -50.0% |

ანალოგიურად მაღალი მაჩვენებელი გვხვდება ქობულეთის შემთხვევაშიც—

სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევა 53.0%


შეიძლება ითქვას, რომ მაღალ ერთიან მაჩვენებელს, რომელიც მოდის სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევაზე ბათუმის და ქობულეთის მონაცემი განსაზღვრავს, რადგან სხვა ქალაქების მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მოდის ისეთ პასუხებზე როგორიცაა „არ მაქვს პრობლემები“ და „მიჭირს პასუხის გაცემა“.

5. ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე უკეთ შეძლებს არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას.

5.1 ინსტიტუტები რომლებიც მიიჩნევა არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისთვის საუკეთესო გზად.

კვლევისთვის საინტერესო იყო საქართველოს მოქალაქეები თუ რომელ ინსტიტუტში ხედავენ სამართლებრივი პრობლემის გადაჭრას. ამის გამოსავლენად ეძლეოდათ შეკითხვა:

თქვენი აზრით, ვინ შეძლებს ყველაზე უკეთ თქვენი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრას? შედეგებმა უჩვენა:



- გამოკითხულთა 28.7%-მა კერძო ადვოკატი დაასახელა.
- 25.6%-მა საუკეთესო სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა სასამართლოს ინსტიტუტში დაინახა და შესაბამისად სასამართლო დაასახელა.
- 12.5%-ს გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.
- 9.3%-მა დაასახელა სახელმწიფო უფასო იურიდიული სამსახური.

თუმცა პროცენტული მაჩვენებლების მხრივ ძალიან საინტერესოა ცალკე ქალაქების შედეგები, ასევე საინტერესოა პროცენტული მაჩვენებლების სხვაობა, რომელიც დაფიქსირდა როგორც რიგით მოქალაქეებში, ასევე იმ მოქალაქეების პასუხებში, რომლებმაც მიიღეს იურიდიული დახმარება. კერძოდ-**ბათუმი, გორი და ახალქალაქი**.

- ✓ **ბათუმის** რიგითი მოქალაქეების 47.0% თვლის, რომ მათ სამართლებრივ პრობლემებს ყველაზე კარგად გადაჭრის კერძო ადვოკატი, მაშინ როცა ეს პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება მოქალაქეებში, ვინც უკვე მიიღო იურიდიული მომსახურება-ფიქსირდება 70.0%.
- ✓ **ახალქალაქის** მონაცემები ყურადსაღებია იმით, რომ რიგითი მოქალაქეების 63.0% თვლის, რომ მათ სამართლებრივ პრობლემებს ყველაზე კარგად სასამართლო მოუგვარებს, მაშინ როცა იმ რესპოდენტებში, ვინც უკვე მიიღო იურიდიული მომსახურება პროცენტული მაჩვენებელი არის მხოლოდ 12.0%.

პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეები რომლებსაც მეტი გამოცდილება და შეხება აქვთ სამართლებრივ პრობლემებთან, სასამართლოში თითქოს ვეღარ ხედავენ პრობლემების გადაჭრის გზას. ანუ, მოქალაქეებში, რომლებსაც ჰქონდათ შეხება სასამართლოსთან და ზოგადად სამართალწარმოებასთან, იკარგება სასამართლოსადმი ნდობა.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური როლს ყველაზე უკეთ სამართლებრივი პრობლემის გადაჭრისას, ერთიანი მონაცემის მიხედვით საკმაოდ დაბალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა. თუმცა გორსა და ახალქალაქში მოქალაქეებთან ვინც უკვე მიიღო იურიდიული მომსახურება მაჩვენებლის ზრდა შეინიშნება.

გორი—	რიგითი მოქალაქეები	10.0%
	ვინც მიიღო დახმარება	28.0%

ახალქალაქი—	რიგითი მოქალაქეები	10.0%
	ვინც მიიღო დახმარება	40.0%

მონაცემები სავარაუდოდ მიუთითებს შემდეგზე: რესპოდენტები, რომლებმაც ისარგებლეს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურით, უკვე თვლიან, რომ სამართლებრივი პრობლემები შესაძლებელია გადაიჭრას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით.

იმ ფონზე, როცა გვხვდება პროკურატურის აქტიური როლი სამართლებრივი საქმეთაწარმოების დროს, ასევე, როცა მოქალაქეები მოითხოვენ პროკურატურისა და პოლიციის როლის შესუსტებას და ასევე გამოთქმული იქნა ვარაუდი სასამართლო სისტემისადმი ნდობის ვარდნის შესახებ, ყველაზე უკეთ სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზად რესპოდენტებს ესახებათ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური. ეს იმის მანიშნებელია, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების

საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურმა მოქალაქეებს მიაწოდა სრულყოფილი იურიდიული პროდუქტი/მომსახურება, რამაც სამსახურისადმი და ზოგადად სახელმწიფო სტრუქტურისადმი ნდობის ამაღლებას შეუწყო ხელი.

6. დასახლებულ პუნქტებში ხშირად მომხდარი დანაშაულებების სახეები.

6.1 დანაშაულის სახეები და მათი სიხშირე.

კითხვაზე—

თქვენი აზრით, რა სახის დანაშაული ხდება უფრო ხშირად თქვენს ქალაქში?

შედეგებმა აჩვენა:


- 31.7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.
- გამოკითხულთა ნახევარმა ავტომობილის მართვის წესების დარღვევა დაასახელა.
- 18.5%-მა კი დანაშაული, რომელიც კავშირშია ნარკოტიკებთან.

7. მიღებული იურიდიული მომსახურების წარმომავლობა.

7.1 დასახლებულ პუნქტებში არსებული იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები.

კითხვაზე—

თქვენი პირადი ინფორმაციით, არსებობს თუ არა თქვენს ქალაქში იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები? იგულისხმება საადვოკატო მომსახურება.



აღმოჩნდა, რომ:

- ✓ გამოკითხულთა 32.0%-ს არა აქვს ინფორმაცია იურიდიული მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებზე.
- ✓ ასევე გამოკითხულთა მესამედი ადასტურებს ასეთი სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობას.
- ✓ რესპოდენტების 26.1%-ს აქვს ასეთი სახის კერძო ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია.
- ✓ დაახლოებით იგივე მაჩვენებელი გვხვდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

გამოკითხული რესპოდენტების 32% აღმოჩნდა არაინფორმირებული საკუთარ ქალაქში იურიდიულ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციების არსებობის შესახებ. ეს დამაფიქრებელი მაჩვენებელია და მომავალში გასათვალისწინებელი საკომუნიკაციო საქმიანობის დაგეგმარების მხრივ.

- თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნდობა ამაღლდა მოქალაქეებში იმის შემდეგ, რაც მიიღეს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება, განსაკუთრებულად საყურადღებოა მოქალაქეების არაინფორმირებულობა ასეთი ტიპის იურიდიული დახმარების სამსახურების არსებობის შესახებ:


იმ დროს, როცა მოქალაქეების გარკვეულმა რაოდენობამ მიიღო სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურება და მიღებული მომსახურების შემდეგ იზრდება ამ სამსახურის მიმართ ნდობა, მოსახლეობის დიდა ნაწილმა არ იცის ამ სამსახურის არსებობის შესახებ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ზოგადად არასწორი საინფორმაციო, საკომუნიკაციო ურთიერთობა სამსახურსა და რიგით მოქალაქეებს შორის.

მიზეზი შესაძლოა იყოს ასევე სხვა რამ: რესპოდენტები სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ხშირად ახსენებენ "სახელმწიფო ორგანიზაციას". იმ ქალაქებში, სადაც გამოკითხვა ჩატარდა იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია გარდა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურისა არ არსებობს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სამსახურის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა გამოწვეულია სამსახურის სახელიდან გამომდინარე-მიუხედავდ გაწეული მომსახურებისა, რიგითი მოქალაქე არ იმახსოვრებს სამსახურის სრულყოფილ სახელს.

7.2 მოქალაქეების მიმართვიანობა სისხლის სამართლის დანაშაულის ან სამოქალაქო დავების დროს კონკრეტული ორგანიზაციებისადმი.

კითხვაზე—

თქვენი პირადი ინფორმაციით, თქვენს ქალაქში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულის ან სამოქალაქო დავების დროს, უფრო ხშირად რომელ ორგანიზაციებს მიმართავენ მოქალაქეები საადვოკატო მომსახურების მისაღებად?



გამოკითხულთა ერთიანი მონაცემის თითქმის ნახევარი ასახელებს სახელმწიფო ორგანიზაციას, 27.1% კი კერძო ორგანიზაციას.

სახელმწიფო ორგანიზაციაში თავისთავად იგულისხმება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური. სახელმწიფოს მიერ დანიშნული სახაზინო ადვოკატი-მომხდარი შემთხვევებიდან გამომდინარე-წარმოადგენდეს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელს. რესპონდენტებისთვის ასეთი მომსახურება იგივედება სახელმწიფო ორგანიზაციასთან.

7.3 იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისადმი ნდობის ხარისხი.

ნდობის ხარისხის დასადგენად რესპოდენტები აფასებდნენ თითოეულ ორგანიზაციას-

ზოგადად, თქვენი შეხედულებებიდან გამომდინარე, გთხოვთ შეაფასოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების სანდოობა, რომლებიც აწარმოებენ საადვოკატო მომსახურებას 5 ქულიანი შკალით, სადაც 1 ნიშნავს სრულიად არასანდო, ხოლო 5-სრულიად სანდო: (საშუალო შეფასება)

შედეგებმა უჩვენა:

- საშუალო მაჩვენებელი 3.6 ქულა მიიღო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.
- ხოლო საშუალო მაჩვენებელი 3.7 ქულა დაფიქსირდა კერძო ადვოკატის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შემთხვევაში

მიღებული შედეგით შეიძლება ვთქვათ, რომ გამოკითხული რესპოდენტების შეფასება სანდოობის თვალსაზრით თითქმის თანაბარია ყველა ორგანიზაციისადმი და არც ერთი არ არის ამ მხრივ გამორჩეული.


სავარაუდოდ-გამომდინარე ზოგადი ინფორმაციის დაბალი დონით, აღნიშნული შეფასებები არ უნდა იყოს მთლიანად ობიექტური, დიდი ალბათობაა იმისა, რომ რესპოდენტების უმრავლესობას აქვს ინფორმაცია (რომელიც ასევე შესაძლოა არასრულყოფილია) რომელიმე ერთი სახის ორგანიზაციაზე, ხოლო დანარჩენებს აფასებს არსებული ინფორმაციის საფუძველზე მიახლოებითი/ვარაუდის პრინციპით.

7.4 მოქალაქეების ინფორმირებულობა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების უფასო იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

კითხვაზე—

გთხოვთ მითხრათ, თქვენი ინფორმაციით, ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან რომელი ახდენს უფასო იურიდიულ მომსახურებას სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის?

პასუხებიდან ჩანს:



- ✓ გამოკითხულთა 33.5%-მა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური დაასახელა.
- ✓ გამოკითხულთა მესამედს გაუჭირდა პასუხის გაცემა.
- ✓ კერძო ადვოკატურა დაასახელა გამოკითხულთა 26.4%-მა.
- ✓ ხოლო რესპოდენტების მეოთხედმა-ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ყურადღებას იქცევს ცალკე ქალაქების შედეგები:

ბათუმი—

- ბათუმის ერთიანი მონაცემები გადანაწილდა შემდეგნაირად:
- 54.7% თვლის რომ უფასო იურიდიულ მომსახურებას სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ახორციელებს კერძო ადვოკატურა.
- 38.7%-ის აზრით-სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური
- 30.7% ფიქრობს, რომ ასეთი ორგანიზაციაა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
- 27.3% კი ასახელებს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს.



ყურადსაღებია ასევე ის შედეგები, რომელიც ფიქსირდება მომხმარებელთა და რიგითი მოქალაქეების ჭრილის მიხედვით:

	მოქალაქეები რომლებმაც მიიღეს იურიდიული დახმარება	რიგითი მოქალაქეები
კერძო ადვოკატურა	66.0%	49.0%
ახაგაზრდა იურისტთა ასოციაცია	34.0%	29.0%
სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური	50.0%	33.0%
სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები	24.0%	29.0%

გორი–

- ✓ ერთიანი მონაცემით 48.0% თვლის რომ სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახური ემსახურება უფასოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს.
- ✓ 42.0% ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ასახელებს.
- ✓ 26.7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

	მოქალაქეები რომლებმაც მიიღეს იურიდიული დახმარება	რიგითი მოქალაქეები
სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახური	68%	38%
ახაგაზრდა იურისტთა ასოციაცია	34%	34%
გაუჭირდა პასუხის გაცემა	10%	35%

ახალქალაქი–

- ✓ 53.3%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, რაც აუცილებლად ყურადსაღებია.
- ✓ გამოკითხულთა 39.3% – დაასახელა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური.
- ✓ გამოკითხული რიგითი მოქალაქეების 29.0%-მა დაასახელა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური. –

პროცენტული მაჩვენებელი იზრდება იმ მოქალაქეებში, ვინც უკვე მიიღო იურიდიული მომსახურება. თუმცა ახალქალაქში გამოკითხულთა ნახევარზე მეტ რიგით მოქალაქეს გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, ხოლო იმ მოქალაქეებში, ვინც უკვე მიიღო

იურიდიული მომსახურება 40.0% –ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, ამასთან, არასასურველი.

ქობულეთი–

კერძო ადვოკატი	57.0%
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	51.0%
სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახური	33.0%
სახვა სახელმწიფო უწყება	29.0%

ხაშური–

- ✓ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა რესპოდენტების თითქმის ნახევარს 47.0%–ს.
- ✓ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური დაასახელა მოქალაქეების 23.0%–მა.
- ✓ იგივე პროცენტული მაჩვენებელი გვაქვს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შემთხვევაში.

მარნეული–

მიჭირს პასუხის გაცემა	68.0%
კერძო ადვოკატურა	26.0%

მიღებული შედეგი საგარეოდ მიუთითებს იმაზე, რომ მარნეულის მოსახლეობა თითქმის არ არის ინფორმირებული ასეთი ტიპის მომსახურების შესახებ.

ყურადღებას იქცევს ბათუმსა და ქობულეთში გამოკითხული რესპოდენტების პასუხები: სოციალურად დაუცველთა ინტერესებს იცავს კერძო ადვოკატურა.

ზემოთ, დასახლებულ პუნქტებში არსებული სამართლებრივი პრობლემების რაწეირების დროს, ბათუმსა და ქობულეთში მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გვხვდება სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევა. თუ აღწერილ პროცენტულ მაჩვენებლებს დავაკავშირებთ, შესაძლოა ვივარაუდოთ შემდეგი:

- სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევის მასიური ხასიათის ფონზე, შესაძლოა რომელიმე კერძო ადვოკატმა სხვა პირის საქმესთან ერთად აწარმოა სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლის საქმე. საგარეოდ, მსაგავსი შემთხვევა არ უნდა ატარებდეს ერთეულ ხასიათს. ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან


საკუთრების უფლების დარღვევის დროს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურების მიღება შესაძლოა მოქალაქეებისთვის ნიშნავდეს "სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ", რაც სამართალწარმოების სასურველი შედეგით დასრულების წინაპირობად არ განიხილება იგივე მოქალაქეებისთვის.

7.5 რეკომენდატორი მოქალაქის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს.

კვლევისთვის საინტერესო იყო ის თუ ვის რეკომენდაციებს ითვალისწინებს საქართველოს მოსახლეობა მანამ სანამ მიიღებს გადაწყვეტილებას თუ რომელი ორგანიზაციით ისარგებლოს.

შეკითხვაზე–

- *თუ შეიძლება მითხარით, ზოგადად, როცა მოქალაქე იღებს გადაწყვეტილებას მიიღოს იურიდიული მომსახურება, როგორც წესი ვის რჩევა/რეკომენდაციას ითვალისწინებს? მივიღეთ შემდეგი შედეგები:*



თვალსაჩინოდ ჩანს რომ, საქართველოს მოქალაქეები ძირითადად ითვალისწინებენ ოჯახის წევრების ან ნაცნობ მეგობრების რჩევას ან რეკომენდაციას, თუმცა ეს შესაძლოა ასევე განპირობებული იყოს იმით, რომ სხვა ინფორმაციის წყარო მათ არ გააჩნიათ. მიღებული შედეგების მიხედვით ყველა რეგიონში მიახლოებული მდგომარეობაა მეტ-ნაკლები სხვაობით.

7.6 ფინანსური ფაქტორის როლი იურიდიული მომსახურების მიღების საჭიროების დროს.

შეკითხვაზე–

- *გთხოვთ მითხრათ, რამდენად გადამწყვეტია ფინანსური ფაქტორი მაშინ, როცა მოქალაქეს სურს იურიდიული მომსახურება?*

საერთო შედეგებმა უჩვენა, რომ გამოკითხულთა 58.3%-ის აზრით ფინანსური მხარე გადამწყვეტია. ამ თვალსაზრისით ყველა რეგიონში ერთნაირი სურათი ფიქსირდება. სავარაუდოდ, ეს შეიძლება აიხსნას მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით.

7.7 ნდობის ხარისხი სხვა და სხვა იურიდიული მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების მიმართ

გთხოვთ გვიპასუხოთ ვის მომსახურებას ენდობით უფრო მეტად და ვის მომსახურებას მიმართავდით საჭიროების შემთხვევაში საუკეთესო შედეგის მისაღწევად? გთხოვთ თქვენი ნდობა მიუთითოთ 5 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს საერთოდ არ ვენდობი, ხოლო 5-სრულიად ვენდობი (საშუალო შეფასება)

შედეგებმა აჩვენა რომ რესპოდენტების ნდობის ხარისხი თითქმის ერთნაირია ისეთი ინსტიტუტების მიმართ როგორიცაა:

- | | |
|----------------------------------|------------|
| 1. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | -4.3 ქულა, |
| 2. უფასო იურიდიული სამსახური | -4.1 ქულა, |
| 3. ადვოკატურა | -4.1 ქულა. |

8. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის ხარისხი

8.1 ინფორმირებულობა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ.

კითხვაზე—

- *გსმენიათ თუ არა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ?*
- გამოკითხული რესპოდენტების 55.6%-ს სმენია.
- ხოლო 36.3% ამბობს, რომ არ სმენია ასეთი სამსახურის შესახებ.

ცალკეულ რეგიონების მონაცემების შედარებით განსაკუთრებულად შეიძლება გამოვყოთ ახალქალაქი და მარნეული:

- ახალქალაქში რესპოდენტების 62.0%-ს,
- ხოლო მარნეულში 79.0% ამბობს, რომ არ სმენია ამ სამსახურის შესახებ.

შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება ახალქალაქი და მარნეული, როგორც ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული ქალაქები. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ახალქალაქში ის რესპოდენტებიც გამოიკითხა, ვინც ისარგებლა იურიდიული სამსახურით და მიუხედავად ამისა, უმრავლესობა გამოკითხული რესპოდენტებისა ამბობს, რომ არ იცის ამ სამსახურის შესახებ.

აღნიშნული არაინფორმირებულობა არაერთგზის დაფიქსირდა კვლევის განმავლობაში. ამ შემთხვევაშიც იგივე შეიძლება ვივარაუდოთ-დაბალი სამართლებრივი განათლება, დაბალი აქტივობა და არასათანადო კომუნიკაცია იურიდიული სამსახურის მხრიდან.

8.2 დანაშაულის დროს ფინანსური შესაძლებლობების როლი საბოლოო შედეგზე

კითხვაზე—

- როგორ ფიქრობთ, რომელიმე სახის დანაშაულის დროს, მხარეების ფინანსური შესაძლებლობები რამდენად ახდენს გავლენას საბოლოო შედეგზე?
- გამოკითხულთა 42.5% თვლის, რომ ფინანსური მხარე ყოველთვის გადამწყვეტია საბოლოო შედეგზე.
- რესპოდენტების 24.5% კი თვლის, რომ ხშირად გადამწყვეტია ფინანსური მხარე


აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები-ჯამში 67%, ვინც თვლის, რომ ფინანსური მხარე გადამწყვეტია-სავარაუდოდ მიუთითებს მოქალაქეების უნდობლობაზე სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების საკითხში. შესაძლოა აქ ვივარაუდოთ მოქალაქეების არასწორი დამოკიდებულება რაც გულისხმობს „თუ ფული გაქვს ყველაფერს მიაღწევ“ და იგულისხმებოდეს საპროცესო გარიგებები.

8.3 მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიღების წყარო სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ

- საიდან შეიტყვეთ ამ სამსახურის არსებობის შესახებ?



რესპოდენტები, რომლებმაც იციან სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სასაქონლო ბაზრის, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, გამოკითხულთა 63.7%



ერთიანი მონაცემის მიხედვით:

- 59.0% ინფორმაციის წყაროდ ასახელებს სატელეფონო რეკლამას.
- ნაცნობ/მეგობრებს კი 40.2%.

თუმცა რეგიონების მიხედვით თუ შევადარებთ, გვხდება საკმაოდ განსხვავებული სურათი. კერძოდ-
ბათუმი:

- ✓ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მოდის სატელეფონო რეკლამაზე როგორც რიგით ასევე იმ მოქალაქეებში ვინც მიიღო იურიდიული დახმარება.

გორი:

- ✓ ქალაქის ერთიანი მონაცემით გამოკითხულთა 53.1%-მა დაასახელა ნაცნობ/მეგობრები ინფორმაციის წყაროდ.
- ✓ ხოლო სატელეფონო რეკლამა 38.0%-მა.
- ✓ აუცილებელია აღინიშნოს, რომ რიგითი მოქალაქეების 52.8% ასახელებს სატელეფონო რეკლამას და 41.5% ნაცნობ/მეგობრებს.
- ✓ ხოლო იმ მოქალაქეებში, ვინც მიიღო იურიდიული დახმარება 66.7% ნაცნობ/მეგობრებს ასახელებს ინფორმაციის წყაროდ.

ახალქალაქი:

- თითქმის იგივე მდგომარეობა ფიქსირდება, რაც გორში. ქალაქის ერთიანი მონაცემით გამოკითხულთა 73.2%-მა დაასახელა ნაცნობ/მეგობრები ინფორმაციის წყაროდ.



- ხოლო სატელევიზიო რეკლამა 26.8%.-მა.
- თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგითი მოქალაქეების 50.0% ასახელებს სატელევიზიო რეკლამას და 62.5% ნაცნობ /მეგობრებს. ხოლო იმ მოქალაქეებში, ვინც მიიღო იურიდიული დახმარება 77.5% ნაცნობ/მეგობრებს აფიქსირებს ინფორმაციის წყაროდ.

რაც შეეხება ხაშურს, ქობულეთს და მარნეულს მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს სატელევიზიო რეკლამას.


კითხვაზე-

თქვენ ან თქვენთვის ნაცნობ რომელიმე მოქალაქეს, გისარგებლიათ/უსარგებლიათ თუ არა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარებით?

ერთიანი მონაცემის შედეგების მიხედვით-

- გამოკითხულთა 66.9%-ს არ უსარგებლია,
- 20.0%-მა კი ისარგებლა/ისარგებლა ნაცნობმა უფასო იურიდიული მომსახურებით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მონაცემი იმ მოქალაქეებში რომლებმაც მიიღეს იურიდიული დახმარება:



ყურადსაღებია იმ მოქალაქეების პოზიცია, ვინც რეალურად ისარგებლა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურით და ამავდროულად არ აქვს ინფორმაცია სამსახურის შესახებ:

- გორში ასეთი მაჩვენებელი შეადგენს 24.0% -ს,
- ახალქალაქში კი 28.0%-ს.

უცნაურია, მაგრამ ყურადსაღები: მოქალაქეებმა მიიღეს მომსახურება იურიდიული დახმარების სამსახურიდან, მაგრამ მისი სახელი არ ახსოვთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ შემდეგი:

1. რესპონდენტებისთვის მთავარი იყო მიეღოთ იურიდიული მომსახურება რომელიც აღმოჩნდა უფასო. დანარჩენი საკითხებისთვის რესპონდენტებს დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ.
2. სავარაუდოდ, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურიორიენტირებულია წმინდა პროფესიულ საკითხებზე და მაქსიმალურად იხარჯება ამ თვალსაზრისით, თუმცა შესაძლოა არასათანადო ყურადღებას აქცევს სწორ კომუნიკაციას იმ მოქალაქეებთან, ვისაც ემსახურება. ეს განაპირობებს იმ მაჩვენებელს სამსახურის ცნობადობის შესახებ, რომელიც კვლევის შედეგად იქნა მიღებული.

8.4 სამართალწარმოების შედეგები იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების შემდეგ

კითხვაზე—

- *მიაღწიეთ/მიაღწიეს თუ არა სასურველ შედეგს?*




ერთიანი მონაცემით-რესპოდენტების ნახევარზე მეტი თვლის, რომ სასურველი შედეგი მიღწეულ იქნა.

ეს მონაცემი მნიშვნელოვანია იმით, რომ მიღწეული შედეგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ მოქალაქეების კმაყოფილების დონეს.

გამოკითხულთა მეოთხედი კი აფიქსირებს სასურველი შედეგის მიუღწევლობას.

საერთო სურათის საპირისპირო მდგომარეობა გვხვდება ბათუმის შემთხვევაში (რესპოდენტები, რომლებმაც მიიღეს უფასო იურიდიული სამსახურის მომსახურება):



განსხვავებით სხვა ქალაქებისა, ბათუმის შემთხვევაში მხოლოდ მესამედმა მიაღწია სასურველ შედეგს.

აუცილებელია გავიხსენოთ ქალაქებში არსებული პრობლემების ჩამონათვალი-ბათუმისა და ქობულეთის შემთხვევაში მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით დასახელდა "სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების" დარღვევა, ამავე დროს, ბათუმსა და ქობულეთში გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია შესუსტდეს პროკურატურისა და პოლიციის სისტემები. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ვარაუდი, რომლის რაიმე სახით გამყარება შეუძლებელია წინამდებარე კვლევის შედეგების ფარგლებში: ბათუმსა და ქობულეთში ხდება ისეთი ფაქტები, რომელიც მოქალაქეებს მიაჩნიათ სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების დარღვევად, ამასთან, სამართალწარმოებების შემთხვევებში მოქალაქეთა დამაკმაყოფილებელი შედეგები ნაკლებია. ამის ფონზე კი მოქალაქეებიდან მომდინარეობს აგრესია ყოველგვარი სახელმწიფო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი.

ზოგადად, იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის შედეგები რიცხობრივად შესაძლებელია შემდეგნაირად გამოისახოს (მოქალაქეთა შეფასებებით-წარმატებულად დასრულებული საქმეების რაოდენობის მიხედვით, პროცენტებში):

წარმატებულად დასრულებული	-50%
მეტნაკლები წარმატებით დასრულებული	-25%
წარუმატებლად დასრულებული	-25%


აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ წარმატებულად დასრულებული საქმეთა წარმოების საერთო დაბალ პროცენტულ მაჩვენებლს განაპირობებს ბათუმის მონაცემები. სხვა ქალაქებში პროცენტული მაჩვენებლები აღწევს 70%-მდე და მეტს.

8.5 სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციებში შემავალი მომსახურებები.

შეკითხვაზე–

- თქვენი აზრით, რომელი მომსახურება შედის „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ფუნქციებში

ერთიანი მონაცემი



არც ერთი მომსახურება არ შედის ამ სამსახურის ფუნქციებში ერთიანი მონაცემების მიხედვით, მოქალაქეების უმრავლესობა თვლის, რომ ჩამოთვლილი მომსახურებებიდან ყველა შედის იურიდიული დახმარების ფუნქციებში. ამ მხრივ თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა თითქმის ყველა ქალაქში.

საყურადღებოა ახალქალაქის რიგითი მოქალაქეების პოზიცია, რომლებიც თვლიან, რომ არცერთი მომსახურება არ შედის ამ სამსახურის ფუნქციებში და ეს მაჩვენებელი შეადგენს 68.0%-ს.

ასევე მარნეულის გამოკითხული მოსახლეობის 65.0%-ს გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, სავარაუდოდ, ეს მეტყველებს მოქალაქეების არა ინფორმირებულობაზე.

კვლევისთვის საინტერესო იყო მოქალაქეებს აქვთ თუ არა ინფორმაცია სხვა უფასო იურიდიული მომსახურებების შესახებ:

8.6 უფასო მომსახურებები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ან სხვა სახელმწიფო უწყებებიდან

კითხვაზე–

- *თქვენი აზრით, რომელი მოსმახურებაა ხელმისაწვდომი უფასოდ არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან?*

ერთიანი მონაცემის მიხედვით დაახლოებით 50%-იანი პროცენტული მაჩვენებელი მოდის თითქმის ყველა ფუნქციაზე, იგულისხმება ყველა ფუნქცია, რაც იურიდიული სამსახურის ფუნქციებში შედის. გამოკითხული მოქალაქეების თითქმის ნახევარი თვლის, რომ მომსახურების მიღება ხელმისაწვდომია უფასოდ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში.

8.7 სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლობის გავლენა რიგით მოქალაქეებზე.

კითხვაზე–

- *თქვენი აზრით, მოქალაქეებზე რა გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური არის სახელმწიფო სტრუქტურა?*

ერთიანი მონაცემის მიხედვით გამოკითხულთა 55.6% თვლის რომ დადებით გავლენას მოახდენს. გამოკითხულთა მეოთხედს გაუჭირდა პასუხის გაცემა.თუმცა უნდა გამოიყოს მარნეული და ახალქალაქი.

მარნეული–

- ✓ 40.0%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. 31.0% თვლის, რომ დადებით გავლენას მოახდენს და თითქმის იგივე 29.0% თვლის, რომ არანაირ გავლენას არ მოახდენს.




ახალქალაქის რიგით მოქალაქეების 73.0%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა მაშინ, როცა რესპოდენტებიდან, ვინც უკვე მიიღო იურიდიული დახმარება, 80.0% თვლის, რომ დადებით გავლენას მოახდენს. სავარაუდოდ, გარკვეული გამოცდილებისა და მეტი ინფორმაციის მიღების შემდეგ ამ სამსახურის მიმართ მოქალაქეები უფრო დადებითად განეწყობიან.

8.8 სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის გავლენა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე.

კითხვაზე–

- ✓ *სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური არის სახელმწიფო სტრუქტურა; როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს ეს ფაქტი სოციალურად დაუცველი პირებისთვის სისხლის სამართლის საქმეზე იურიდიული მომსახურების მიღებაზე?*

ერთიანი მონაცემი:



32.0% თვლის, რომ ახდენს დადებით გავლენას სახელმწიფო უწყებების მიმართ სანდოობის გამო. გამოკითხულთა 24.0%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

არ შეიძლება არ შევეხოთ ცალკეულ ქალაქებს.

- ✓ ბათუმი –ერთიანი მონაცემით რესპოდენტების ნახევარი თვლის, რომ დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფო უწყებების მიმართ სანდოობის გამო. რიგითი მოქალაქეების 51.0%-იც იგივე აზრს გამოთქვამს. ასევე 44.0% იმ მოქალაქეებისა, ვინც მიიღო იურიდიული დახმარება. ანალოგიური სურათი გვხვდება გორის შემთხვევაშიც.
- ✓ რაც შეეხება ახალქალაქს, 24.7% თვლის რომ დადებით გავლენას მოახდენს. რესპოდენტების ნახევარზე მეტს 66.0%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ შედეგთა ასეთი ტენდენცია ფიქსირდება კვლევის განმავლობაში. ვარაუდი ამ ქალაქში მაცხოვრებელი მოქალაქეების სამართლებრივ ცხოვრებაში ნაკლებად ჩართულობასა და დაბალი აქტივობის შესახებ, რაც თავის მხრივ შესაძლოა განპირობებული იყოს ენობრივი ბარიერით, უფრო მეტად მყარდება.

ქობულეთი–რესპოდენტების 40.0% თვლის რომ უარყოფით გავლენას მოახდენს სახელმწიფო უწყების მიმართ ნაკლები სანდოობის გამო.

24.0% კი თვლის რომ პირიქით, დადებით გავლენას მოახდენს.

მიღებული შედეგი შეიძლება ითქვას, პირდაპირ კავშირი არაა ქობულეთში კერძო საკუთრების ხელყოფასთან სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად, ფიქსირდება სახელმწიფო უწყების მიმართ უნდობლობის მაღალი მაჩვენებელი.

- ✓ ხაშური–გამოკითხულთა 33.0% თვლის რომ დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფო უწყების თანამშრომლების მხრიდან საკუთარი საქმიანობის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების გამო.
- ✓ მარნეული– რესპოდენტების 36.0% გაუჭირდა პასუხის გაცემა. 29.0 % –ს კი მიაჩნია რომ არა აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ 21.0% თვლის რომ აქვს დადებითი გავლენა სახელმწიფო უწყებების სანდოობის გამო.

9. ძირითადი მიგნებები



1. საქართველოში და განსაკუთრებით აჭარაში პროკურატურას ძლიერი გავლენა აქვს, სამართლებრივი საქმის წარმოების შემთხვევაში პროკურატურა ასრულებს მნიშვნელოვნად აქტიურ როლს.
2. გამოვითხულთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ გაძლიერებას საჭიროებს სასამართლო ინსტიტუტიცია სამართლიანობის მისაღწევად.
3. სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებისთვის გამოვითხული მოქალაქეებიდან ვიღებთ პირდაპირ დაკვეთას პროკურატურის და პოლიციის ინსტიტუტების შესუსტების შესახებ.
4. საზოგადოების დიდ ნაწილს არ გააჩნია რეალური წარმოდგენა სამართლებრივ სისტემასა და სამართლიანობის უზრუნველყოფ ინსტიტუტებზე.
5. საუკეთესო მართლმსაჯულების სისტემა მოქალაქეებისთვის არის ის, სადაც მოსამართლე და ადვოკატი იღებენ გადაწყვეტილებას.
6. ახალქალაქში თვალში გვხდება მოქალაქეების ნაკლებად ჩართულობა სამართლებრივ ცხოვრებაში, მათი არაინფორმირებულობა და დაბალი აქტივობა.
7. სავარაუდოდ, ახალქალაქში იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან არასათანადო საკომუნიკაციო საქმიანობები ხორციელდება.
8. აჭარაში არსებულ სამართლებრივ პრობლემად გამოიკვეთა სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევა.
9. არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისთვის საუკეთესო ინსტიტუტად აჭარაში მიიჩნევა კერძო ადვოკატურა. სხვა ქალაქებში კი, სადაც ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური, ასეთ ინსტიტუტად მიიჩნევენ აღნიშნულ სამსახურს.
10. მოქალაქეებში, რომლებსაც ჰქონდათ შეხება სასამართლოსთან და ზოგადად სამართალწარმოებასთან, იკარგება სასამართლოსადმი ნდობა.
11. გორსა და ახალქალაქში იმ მოქალაქეებში, ვინც მიიღო იურიდიული დახმარება, იზრდება ნდობა სამსახურის მიმართ.
12. სახელმწიფო იურიდიულმა სამსახურმა მოქალაქეებს მიაწოდა სრულყოფილი იურიდიული პროდუქტი/მომსახურება, რამაც სამსახურისადმი და ზოგადად სახელმწიფო სტრუქტურისადმი ნდობის ამაღლებას შეუწყო ხელი.
13. მოქალაქეების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, საკუთარ ქალაქში იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების არსებობის შესახებ.
14. სისხლის სამართლის დანაშაულის დროს მოქალაქეების დიდი ნაწილი სახელმწიფო ორგანიზაციას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართავს.
15. მოქალაქეების სანდოობა ყველა იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიმართ თითქმის თანაბარია და ამ თვალსაზრისით არც ერთი არ არის გამოკვეთილი.
16. ახალქალაქსა და მარნეულში შეიმჩნევა მოქალაქეების არაინფორმირებულობა ისეთი იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის არსებობის შესახებ, ვინც ემსახურება სოციალურად დაუცველ ფენას.
17. საქართველოში მთვარ რეკომენდატორად ითვლება ნაცნობი/მეგობარი.

18. იურიდიული მომსახურების მიღების საჭიროების დროს ფინანსური ფაქტორი გადამწყვეტია უმრავლესობისათვის.
19. ახალქალაქში და მარნეულში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის ხარისხი ძალიან დაბალია. იმ ქალაქებში, სადაც ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური, ცნობადობა შედარებით მაღალია, მაგრამ არა იმ დოზით რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საურველ დონედ.
20. დანაშაულის დროს გამოკითხულთა 67% თვლის, რომ ფინანსური მხარე გადამწყვეტია საბოლოო შედეგზე და შუძლია გავლენის მოხდენა, რაც მიუთითებს მოქალაქეების უნდობლობაზე სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების საკითხში.
21. მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა სატელევიზიო რეკლამა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ ის მოქალაქეები ვინც მიიღო იურიდიული დახმარების მომსახურება, ინფორმაციის მიღების წყაროდ ასახელებენ ნაცნობებს.
22. ახალქალაქსა და გორში იურიდიული სამსახურის მხრიდან გვხვდება ორიენტირებულობა წმინდა პროფესიონალურ მომსახურებებზე და ამავდროულად არასათანადო კომუნიკაცია მომხმარებლებთან. უფრო კონკრეტულად-სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების შემდეგ მომხმარებელი ძნელად იმახსოვრებს უფასო მომსახურების მიმწოდებელს, ანუ, სამსახური მომსახურების მიწოდების დროს არ ეწევა რეკლამირებას.
23. ფიქსირდება იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურების შედეგად სასურველი შედეგის მიღწევის მაღალი მაჩვენებელი მომხმარებლებში.
24. შეიმჩნევა ახალქალაქის და მარნეულის მოქალაქეების არა ინფორმირებულობა იურიდიული დახმარების სამსახურში შემავალ ფუნქციებსა და მომსახურებებზე.
25. გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ იურიდიული მომსახურების მიღება ხელმისაწვდომია უფსოდ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში.
26. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომავლობის გავლენა რიგით მოქალაქეებზე არის შემდეგნაირი: გამოკითხულთა 31.0% თვლის რომ დადებით გავლენას ახდენს ხოლო 29.0% თვლის რომ არანაირ გავლენას არ ახდენს. თუმცა გამოკითხულთა 40.0% გაუჭირდა პასუხის გაცემა, სავარაუდოდ ამ პროცენტული მაჩვენებლის დიდი ნაწილი მოდის იმ რესპოდენტების ხარჯზე ვისაც არა აქვს ინფორმაცია ამ სამსახურის შესახებ.
27. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის გავლენა

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე გამოკითხული 32.0% რესპოდენტისთვის მიიჩნევა როგორც დადებითი გავლენის მქონედ სახელმწიფო უწყებების მიმართ სანდოობის გამო.

10. რეკომენდაციები

მონაცემთა ანალიზიდან გამოდინარე, კვლევითი კომპანია იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

1. იმ ფონზე, როცა გამოკითხული რესპოდენტების 73,8% თვლის, რომ გადამწყვეტია ფინანსური ფაქტორი მაშინ, როცა მოქალაქეს სურს იურიდიული მომსახურება,



- არათუ სასურველად, არამედ აუცილებლადაც კი შეიძლება ჩაითვალოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების რაოდენობის გაზრდა.
2. კვლევით ორგანიზაციას ამ მომენტისთვის არ გააჩნია ინფორმაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების რაოდენობაზე რეგიონების მიხედვით, მაგრამ იმ ფონზე, როცა მაგალითისთვის-შიდა ქართლის რეგიონში, მოქმედებს ბიურო რეგიონალურ ცენტრში და მოთხოვნაა რეგიონალური ცენტრიდან არცთუ დიდად დაშორებულ ქალაქში კიდევ ერთი ბიუროს ფუნქციონირებაზე, ეს მიუთითებს იმაზე, რომ თითოეულ რეგიონში შესაძლოა 2 ასეთი ბიუროს ფუნქციონირებაც კი არ იყოს საკმარისი.
 3. რეგიონების მოცულობებიდან (როგორც გეოგრაფიული, ასევე მოსახლეობის რაოდენობით) გამომდინარე, სასურველი საწყისი ეტაპისათვის თითოეული რეგიონი დაიყოს სამ პირობით ნაწილად-გეოგრაფიული და მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე, სადაც განთავსდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ბიურო და მოემსახურება პირობითად დაყოფილ ნაწილებში შემავალ დასახლებულ პუნქტებს.
 4. ბიუროების სამიზნე აუდიტორიის ამჟამინდელი კატეგორიზაცია დამაკმაყოფილებელია. კატეგორიზაციის პრინციპის შეცვლა-უფრო მეტი უფასო იურიდიული მომსახურების მიწოდება მოსახლეობის ყველა ან თითქმის ყველა ფენისათვის, იმის მიუხედავად რომ არსებობს გარკვეული მოთხოვნა, რჩება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის კეთილ ნებად.
 5. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციებში კი უნდა შედიოდეს (შესაძლებლობის ფარგლებში):
 - იურიდიულ კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე
 - სამართლებრივი დოკუმენტაციის (განცხადება, შუამდგომლობა, ა.შ) შედგენა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით
 - საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში
 - საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სამოქალაქო სამართლის პროცესში
 - სააპალეციო სასამართლოში წარმომადგენლობა
 - მედიაცია
 6. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არ გააჩნია რეალური წარმოდგენა სამართლებრივ სისტემასა და სამართლიანობის უზრუნველყოფ ინსტიტუტებზე, სასურველია ამ თვალსაზრისით დაიგეგმოს საინფორმაციო, საგანმანათლებლო აქციები მოსახლეობაში.

7. იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან ახალქალაქის შემთხვევაში, ყურადღება მიექცეს სწორ კომუნიკაციას მომხმარებლებთან, ამ მხრივ სასურველია მოხდეს დაგეგმარება, შემუშავება სწორი საკომუნიკაციო ფორმების, გათვალისწინებულ უნდა იყოს ის არსებული ვითარება, რასაც ენობრივი ბარიერი ქმნის. შესაბამისად სასურველია ახალქალაქის იურიდიული დახმარების სამსახურს ყავდეს სომხური ენის მცოდნე.
8. იმ ფონზე როცა გორსა და ახალქალაქში იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართ ნდობა იზრდება იმ მოქალაქეებში ვინც უკვე ისარგებლა ამ სამსახურის მომსახურებით, სასურველია მეტი აქტივობა იურიდიული სამსახურის მხრიდან და გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.
9. გამომდინარე იქიდან , რომ გამოკითხულ რესპოდენტებს შორის აღმოჩნდა ძალიან ბევრი რომლებსაც საერთოდ არ ქონდათ ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ საკუთარ ქალაქში არსებობს იურიდიული დახმარების სამსახური, სასურველია იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან მოხდეს გააქტიურება საინფორმაციო და საკომუნიკაციო თვალსაზრისით. დაგეგმარება უნდა მოხდეს ადგილობრივი პრობლემების გათვალისწინებით.
10. მაშინ როცა სისხლის სამართლის დანაშაულის დროს მოქალაქეების დიდი ნაწილი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართავს, სასურველია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ის პოტენციალი და შესაძლებლობები რაც იურიდიული დახმარების სამსახურს გააჩნია, რადგან ეს შუწყობს ნდობის ამაღლებას როგორც კონკრეტული სამსახურის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ-გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ნდობის მხრივ არცერთი იურიდიული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია არ გამოირჩევა.
11. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომავლობის გავლენის გაზრდა რიგით მოქალაქეებზე შესაძლებელია თუ მათ ექნებათ მეტი ინფორმაცია ამ სამსახურის შესახებ.
12. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბათუმსა და ქობულეთს. ამ ქალაქებში სასურველია საკომუნიკაციო საქმიანობა, ასევე მომსახურების სპექტრი და მომსახურების ხარისხი ატარებდეს უშუალოდ ქალაქებში არსებულ სამართლებრივ პრობლემებზე მორგებულ/ორიენტირებულ ხასიათს.